



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
დეტალური სფერო: მედიცინა

პროფესორი - 2 სამტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 4 სამტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 3 სამტატო ერთეული
ასისტენტი - 4 სამტატო ერთეული

ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის

- ❖ **პროფესორის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. იგი თანამდებობაზე აირჩევა 5 წლის ვადით.
 - ✓ კლინიკურ დისციპლინებზე დამატებით - ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება; შესაბამისი სპეცილობის სერტიფიკატი;
 - ✓ ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

- ❖ **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. იგი თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით.
 - ✓ კლინიკურ დისციპლინებზე დამატებით - ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება; შესაბამისი სპეცილობის სერტიფიკატი;
 - ✓ ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით.

- ✓ კლინიკურ დისციპლინებზე დამატებით - ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება; შესაბამისი სპეცილობის სერტიფიკატი;
 - ✓ ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად
- ❖ **ასისტენტის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი .
 - ✓ ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

- ❖ უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიურ თანამდებობაზე აირჩიოს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალი. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

- ✓ [განცხადება რექტორის სახელზე;](#)
- ✓ რეზიუმე (CV) - დადასტურებული ხელმოწერით;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ კვალიფიკაციისა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;

- ✓ სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (ბოლო 10 წლის განმავლობაში, წლების მითითებით) და დამადასტურებელი ინფორმაცია ელექტრონული სახით;
- ✓ შესაბამის სფეროში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი ინფორმაცია (თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
- ✓ სადისერტაციო თემის შესახებ ინფორმაცია (თემის სათაური, მიმართულება, დარგი - თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
- ✓ არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსი;

❖ საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2019 წლის 9 დეკემბრიდან -13 დეკემბრის ჩათვლით. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@openuni.edu.ge სათაურის ველში მიუთითეთ **„კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად“**. განაცხადი ასევე მიიღება: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.#2 , მე-3 სართული, ოთახი #301 (კანცელარია) .

❖ კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

- 1) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა/შესწავლა
- 2) გასაუბრება

❖ გასაუბრება ჩატარდება 2019 წლის 17 და 18 დეკემბერს.

❖ საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2019 წლის 20 დეკემბერს.